

ენის, მატყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის
მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა

გზამკვლევი მშობლებისთვის



გზამკვლევა მუშაობდნენ:

ავტორები:

სოფო ცაგარეიშვილი, კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი, კლინიკური ნეიროფსიქოლოგი

მარიამ მაღალია, კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი, კლინიკური ნეიროფსიქოლოგი

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედინაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჯავაძე

დამკაბადონებელი

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევნი

თავი 1. განსხვავება ენას, მეტყველებასა და კომუნიკაციას შორის

1.1. რა არის მეტყველება?	9
1.1.2. რა არის ენა?	12
1.1.3. რა არის კომუნიკაცია?	15

თავი 2. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევების ზოგადი დახასიათება

2.1 ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევების ტიპები	17
2.1.1. ენის დარღვევის ტიპები და მათი ნიშნები	17
2.1.2 კომუნიკაციის დარღვევა	20
2.1.3 მეტყველების დარღვევის ტიპები და მათი ნიშნები	22
2.2. ენისა და მეტყველების განვითარების შეყოვნება თუ დარღვევა?	25
2.3. ენისა და მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებული მითები	27
2.4. ვინ არის დარღვევის განვითარების რისკის ქვეშ? შესაძლო მიზეზები	30
2.5. ენისა და მეტყველების დარღვევები და სენსორული ინტეგრაცია	33
2.6. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარების დარღვევის თანმდევი სირთულეები	36

თავი 3. მეტყველების, ენისა და კომუნიკაციური უნარების შეფასება

3.1. როგორ ამოიცნოს მშობელმა ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები	40
3.2. დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა	42
3.3 ვის უნდა მიმართოს მშობელმა შეფასებისთვის	43
3.4. რა სირთულეები წარმოიქმნება დიაგნოსტიკის პროცესში	46
3.5 მშობლის როლი დიაგნოსტიკაში	47
3.6. ოჯახის ფსიქოგანათლების მნიშვნელობა	48

თავი 4. სპეციალისტები და მათი ფუნქციები

4.1. მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვი საკოლაში	54
4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა საკოლაში ..	55

თავი 5. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემების მქონე ბავშვის დახმარების სტრატეგიები

5.1 კონკრეტული აქტივობები ექსპრესიული ენის სტიმულირებისთვის	61
5.2 აქტივობები რეცეპტული ენის გასავითარებლად	66
5.3. რეკომენდაციები პრაგმატული და სოციალურ-კომუნიკაციური უნარების განსავითარებლად	70
5.4 ფონოლოგიური ცოდნის, წერისა და კითხვის უნარების განსავითარებელი აქტივობები	73
5.5 მეტყველების გაუმჯობესების სტრატეგიები	79
5.5.1 სამეტყველო სუნთქვის მოსაწესრიგებელი აქტივობები	79
5.5.2 სამეტყველო ორგანოების გასაპრაქტიკებელი აქტივობები	80
5.5.3 რეკომენდაციები ბგერათნარმოთემის გასაუმჯობესებლად	82
5.5.4 რჩევები ენაბორძიკის დროს	83

წინასიტყვაობა

ბავშვის განვითარების ადრეულ პერიოდში ენისა და მეტყველების სირთულეები არცთუ იშვიათია. სტატი-სტიკის თანახმად, მეტყველების ათვისების პროცესში ყოველი მეათე ბავშვიდან ერთს მაინც აქვს სხვადასხვა ხარისხის სირთულეები.

ენისა თუ მეტყველების შეფერხება ყოველთვის ერთ-ნაირად როდი ვლინდება. დარღვევები ძალიან მრავალ-ფეროვანია, განსხვავებული მახასიათებლებითა და მიზე-ზებით; თუმცა, ყველა შემთხვევისათვის საერთოა ის, რომ დარღვეულია გარშემომყოფებთან ენის საშუალებით კომუნიკაცია.

ხანდახან, სირთულეები განვითარების მხოლოდ გარ-კვეულ ეტაპზე იჩენს თავს და ბავშვი ჩარევის გარეშე, ეფექტურად ახერხებს მის დამღევას; თუმცა, სამწუ-ხაროდ, პრობლემა ყოველთვის ასე იოლად არ გვარ-დება. ზოგიერთ შემთხვევაში სირთულეები იმდენად სერიოზული და ხანგრძლივია, რომ ბავშვის ცხოვ-რების სხვადასხვა ასპექტზე ზემოქმედებს. არასწორი მეტყველება და ენის გაგების სირთულეები ხელს უშლის ბავშვს დასწავლასა და კომუნიკაციაში, გავლენას ახდენს ზოგად განვითარებაზე და შესაძლოა, ემოციური პრობლემების განვითარების საფუძველიც გახდეს. ამ

დროს, უმნიშვნელოვანესი როლი მშობლის მხარდაჭერასა და დახმარებაზე მიმართული სამოქმედო გეგმის დროულად დასახვას ენიჭება, რისთვისაც აუცილებელია სპეციალისტების ჩართულობა.

წინამდებარე გზამკვლევი განკუთვნილია იმ მშობლებისთვის, რომლებიც ეჭვობენ, რომ მათ შვილს ენისა და მეტყველების პრობლემა აქვს. გზამკვლევში მოცემული ინფორმაცია, ასევე, სასარგებლო იქნება მათთვის, რომელთა შვილებსაც უკვე გავლილი აქვთ შეფასებისა და დიაგნოსტიკის პროცესი და სურთ, უკეთ გაეცნონ ბავშვის მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

გზამკვლევში განხილული იქნება ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის სირთულეებთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები. კერძოდ:

- ✔ რა არის ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევა;
- ✔ ნიშნები, რომელიც მშობელს პრობლემის არსებობაზე მიუთითებს;
- ✔ დახმარების სტრატეგიები - ვის მიმართოს მშობელმა, როგორ ითანამშრომლოს სპეციალისტებთან, როგორ იზრუნოს ბავშვის სუსტი მხარეების განვითარებაზე და რა კონკრეტული სავარჯიშოები თუ სტრატეგიები გამოიყენოს ამისათვის.

თავი 1.

ბანსხვავება ენას, მეტყველებასა და კომუნიკაციას შორის



მეტყველება და ენა ცალკეული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული პროცესებია და ერთიანდება უფრო დიდ ფუნქციაში, რომელსაც კომუნიკაცია ეწოდება. იმისათვის, რომ თითოეული სფეროს დარღვევის ბუნება მკითხველისთვის უფრო გასაგები გახდეს, თავდაპირველად, აუცილებელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ქვემოთ განხილულია, თუ რა მოიაზრება ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის ცნებების ქვეშ სამეცნიერო ლიტერატურაში.

1.1. რა არის მეტყველება?

მეტყველება ფიზიკური აქტია. იგი უშუალოდ უკავშირდება ბგერებისა თუ სიტყვების წარმოთქმას, რაც სხვადასხვა კუნთების მოძრაობით ხდება.

ბგერათა წარმოთქმის საშუალებას განსაზღვრული ანატომიური ორგანოები იძლევა, რომელსაც საარტიკულაციო

აპარატი ეწოდება. ეს ორგანოებია: ხახა, ცხვირი, ენა, კბილები, რბილი სასა, ენა (ნაქი), ენის ლაგამი, ყბები და ბაგეები. გარდა ამისა, ბგერის წარმოება შეუძლებელია ისეთი ორგანოების მონაწილეობის გარეშე, როგორებიცაა ფილტვები, ბრონქები, სასულე მილი, ხორხი, და იოგები - სახმო სიმები. საარტიკულაციო აპარატის ნორმალური აგებულება, ნერვული სისტემის მოწესრიგებული მოქმედება და ჯანსაღი სმენა ის ფაქტორებია, რაც აუცილებელია სწორი მეტყველებისათვის. რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილის დისფუნქცია განსხვავებულ დარღვევებსა და სირთულეებს იწვევს. (მ.ბერიკაშვილი; 2017).

მეტყველების პრობლემების თავისებურებას განსაზღვრავს ის, თუ მასთან დაკავშირებული რომელი ფაქტორი ირღვევა. ეს ფაქტორებია:

სიხშირე - გულისხმობს მეტყველების სიჩქარეს. ის, თუ რამდენად სწრაფად მეტყველებს ბავშვი, ზემოქმედებს სხვებთან კომუნიკაციის უნარზე. ბავშვის წინაშე არც თუ ისე მარტივი ამოცანა დგას - მან უნდა იმეტყველოს საკმარისად ნელა იმისთვის, რომ საუბრის შინაარსი სხვებმაც გაიგონ; ამავდროულად, მეტყველება არ უნდა იყოს არც ნელი და მონოტონური, რათა გარშემომყოფებმა ინტერესი არ დაკარგონ.

არტიკულაცია - გულისხმობს იმას, თუ როგორ წარმოითქმის სამეტყველო ბგერები პირის, ტუჩებისა და ენის

გამოყენებით. არტიკულაციურ შეცდომად ითვლება, როცა ბავშვი ვერ ან არასწორად წარმოთქვამს კონკრეტულ სამეტყველო ბგერას ან ანაცვლებს მას სხვა ბგერით. მაგალითად, თუ ბავშვი სიტყვა “ზურთი”-ს მაგივრად ამბობს სიტყვას “ზულთი” ან “ზუდი”.

ხმა - მეტყველების სიმაღლე და ტონი ქმნის ხმას. ხმის იოგები შეიძლება დროებით უბრალო გაციებამ ან ხველე-ბამაც დააზიანოს და შედეგად, მეტყველება გაუარესდეს.

პროსოდიკა - გულისხმობს მეტყველების რიტმს, ტონალობასა და ინტონაციას. ჩვეულებრივ, საუბრის დროს, ადამიანები აქცენტს სხვადასხვა სიტყვებზე აკეთებენ და ინტონაციით გამოთქვამენ. მაგალითად, კითხვითი და ბრძანებითი წინადადებები სხვადასხვა ინტონაციით წარმოითქმის.

მოქნილობა - მეტყველება მოქნილია მაშინ, როდესაც იგი თავისუფლად და შეუფერხებლად მიმდინარეობს. ყველას განუცდია მოქნილობის დარღვევის ცალკეული შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე ბგერას იმეორებდა, ან არაბუნებრივ პაუზებს აკეთებდა სიტყვებსა და მარცვლებს შორის. ეს განსაკუთრებით ემოციურმა სტრესმა შეიძლება გამოიწვიოს და საგანგაშო არაფერია. პრობლემის არსებობაზე ექვის მიტანა მხოლოდ მაშინ არის საფუძვლიანი, თუ რიტმი უჩვეულოდ ხშირად ან უმიზეზოდ ირღვევა.

1.1.2 რა არის ენა?

ენა ისეთი სიტყვებისა და სიმბოლოების (ბგერები, ასოები, ჟესტები) ორგანიზებული სისტემაა, რომლებსაც მნიშვნელობები გააჩნია. იგი საშუალებას იძლევა ფიქრები, იდეები და გრძნობები სხვებისათვის გასაგები შეტყობინებებით გამოიხატოს.

ენის რაობა რომ მეტად გასაგები გახდეს, აუცილებელია მისი კომპონენტების განხილვა. ესენია:

☐ **ფონოლოგია** - ფონოლოგია შეისწავლის იმას, თუ როგორ ქმნის ბგერათა ერთობლიობა ენას. ბავშვები დროთა განმავლობაში სწავლობენ, თუ რომელი ბგერები უნდა გააერთიანონ კონკრეტული სიტყვის წარმოსათქმელად. მაგალითად, ისინი დაისწავლიან, რომ თუ უნდათ მიიღონ ბუშტი, უნდა თქვან “ბუშტი” და არა “ბურთი”

☐ **მორფოლოგია** - შეისწავლის სიტყვების სტრუქტურას. ყველა სიტყვა შედგება მორფემებისაგან. ბავშვი ნელ-ნელა სწავლობს, რომ თუ სურს, მიიღოს ერთი მანქანა, უნდა თქვას - “მანქანა-ა”; ხოლო თუ ბევრ მანქანას ითხოვს, მაშინ - “მანქან-ებ-ი”. ანუ, ერთ შემთხვევაში მორფემას “მანქან” დაურთავს მორფემას - “ა”, ხოლო მეორე შემთხვევაში მორფემას - “ებ” და “ი”.

☐ **სინტაქსი** - მოიცავს ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განლაგდეს სიტყვები აზრიანი, გრამატიკული წინადადების ჩამოსაყალიბებლად. ენის სხვა კომპონენტების მსგავსად, ბავშვი სინტაქსსაც დროთა განმავლობაში სწავლობს. მაგალითად:

2 წლის ბავშვი - “მეს არა ფაფა”

2 ½ წლის ბავშვი - “მეს არ უნდა ფაფა”

3 წლის ბავშვი - “მე არ მინდა ფაფა”

☐ **სემანტიკა** - გულისხმობს სიტყვების ფრაზებისა და წინადადებების შინაარსს; მისი ფუნქციაა სიტყვებისა თუ ფრაზების როგორც პირდაპირი, ასევე გადატანიითი (ხატოვანი გამოთქმები, მეტაფორები) მნიშვნელობების ცოდნა, გაგება და გამოყენება. სწორედ სემანტიკური ცოდნა იძლევა იმის საშუალებას, რომ ფრაზა - “სიხარულისგან დაფრინავს” ან “რკინის ნებისყოფა აქვს”, სწორად იქნას გაგებული.

☐ **პრაგმატიკა** - პრაგმატიკა გულისხმობს ენის გამოყენებას სოციალური სიტუაციის შესაბამისად. მისი მეშვეობით ადამიანებმა იციან, თუ რა და როგორ შეიძლება ითქვას კონკრეტულ სიტუაციაში, ან როგორ გამოიყენონ ჟესტები და სხვა მიმანიშნებლები კომუნიკაციის პროცესში. მაგალითად, ენა, რომელიც ფორმალურ შეხვედრებზე გამოიყენება, განსხვავებულია იმ ენისაგან, რომელსაც საუზმის დროს

ოჯახის წევრები იყენებენ; ანდაც, ადამიანები ბავშვებს არ ელაპარაკებიან ისე, როგორც მოზრდილებს და ამასაც პრაგმატული ცოდნა განაპირობებს.

ქვემოთ მოყვანილია პრაგმატულ ენასთან დაკავშირებული უნარები. ესენია:

სასაუბრო თემის შენარჩუნება და საუბრის მიყოლა

სასაუბრო ენის შეცვლა მსმენელის გათვალისწინებით (მაგ. ვინ არის მსმენელი? მეგობარი თუ მასწავლებელი?)

იუმორის გამოყენება და გაგება

ყურადღების მისაქცევად თუ დახმარების სათხოვნელად შესაფერისი სტრატეგიის გამოყენება

ლექსიკის სიტუაციის შესაბამისად შერჩევა

კომუნიკაციის პროცესში ფიზიკური კონტაქტის შენარჩუნება

თვალთ კონტაქტის შენარჩუნება

ჟესტების გამოყენება და გაგება

მიმიკების გამოყენება და გაგება

1.1.3 რა არის კომუნიკაცია?

კომუნიკაცია ინფორმაციის, აზრების, გრძნობების ან შეტყობინებების გადაცემისა და მიღების პროცესია. მისი მასშტაბები ძალიან ვრცელია და შეიძლება მოიცავდეს ადამიანებთან ურთიერთობას სიტყვიერად, წერილობით, ჟესტებით, მიმიკით, ხელოვნების, მუსიკისა და ცეკვის მეშვეობით, ინტონაციით, ჩაცმულობით და ა.შ. ენის საშუალებით კომუნიკაცია დუმილის დროსაც კი შეიძლება გაგრძელდეს. მაგალითად, როცა ხმას არ ვიღებთ და ამით გაზრახვას გამოვხატავთ.

კომუნიკაციის უნარი გულისხმობს :

❄ ენის სხვადასხვა მიზნით გამოყენებას. მაგ.: კითხვის დასასმელად, დასაზუსტებლად, რაიმეს აღსაწერად ან საკამათოდ.

❄ არამეტყველებითი (არავერბალური) წესების გამოყენებას: მაგ.: მოსმენა, თვალთ კონტაქტი საუბრის დროს, ენის სიტუაციის შესაბამისად შერჩევა და შეცვლა.

❄ სხვა ადამიანების განზრახვებისა და სურვილების მიხედვრის უნარს.

თავი 2.

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევების ბოგადი დახასიათება



ენისა და მეტყველების დარღვევები ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მდგომარეობაა ბავშვებში. აღსანიშნავია, რომ მათ ხშირად კომუნიკაციურ დარღვევებთან ერთად მოიხსენიებენ, რადგან ენისა და მეტყველების ძირითადი ფუნქცია სწორედ კომუნიკაცია გახლავთ.

არასწორი მეტყველება თუ ენის გაგებისა და გამოყენების პრობლემები თვალსაჩინო შეიძლება სხვადასხვა ასაკში გახდეს. ხანდახან სირთულეები მეტყველების ათვისების ადრეულ ეტაპზე ვლინდება; ხან კი მოგვიანებით, სკოლის პერიოდში იჩენს თავს. სკოლაში პრობლემა უფრო შესამჩნევი ხდება, რადგან ახლა ბავშვს დასწავლისთვის უფრო კომპლექსური ენობრივი უნარ-ჩვევები ესაჭიროება. ასეთი ჩვევები მოიაზრებს როგორც სიტყვებისა და ფრაზების სწორად გამოყენებისა და გაგების უნარს, ასევე არავერბალური ენის ფლობასაც. ისეთი არავერბალური

მიმანიშებლების სწორად აღქმა და გამოყენება, როგორცაა სახის გამომეტყველება, ჟესტები, პოზა, ხმის ტონი თუ თვალთ კონტაქტი, უმნიშვნელოვანესია ახალი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და შესანარჩუნებლად.

აღსანიშნავია, რომ დარღვევები შეიძლება სხვადასხვა ტიპის სირთულეებით გამოიხატოს; მაგალითად, ბგერებისა თუ სიტყვების წარმოთქმის, ენის გაგების, კონკრეტულ სიტუაციაში მართებული ენის შერჩევის ან მეტყველების დროს განსაზღვრული კუნთების კონტროლის პრობლემებით.

2.1. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევების ტიპები

ქვემოთ განხილულია ენის, მეტყველების და კომუნიკაციის დარღვევის ქვეტიპები და მათი ძირითადი მახასიათებლები.

2.1.1. ენის დარღვევის ტიპები და მათი ნიშნები

გამოიყოფა ენის დარღვევის შემდეგი ტიპები:

- ✿ ექსპრესიული ენის დარღვევა;
- ✿ რეცეპტული ენის დარღვევა;
- ✿ ექსპრესიული და რეცეპტული ენის შერეული დარღვევა;

✿ ფონოლოგიური დარღვევა.

ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანი:

ექსპრესიული ენის დარღვევა - ექსპრესიული ენის განვითარების დარღვევა გულისხმობს ენის გამოყენების სირთულეებს იდეებისა და აზრების გამოსახატად. ეს არ ეხება იმას, თუ რამდენად გამართულად მეტყველებს ადამიანი, არამედ მოიცავს ისეთ უნარებს, როგორცაა იდეების თავმოყრა, თხრობა, შესაფერისი სიტყვის შერჩევა, წინადადებების ორგანიზება და გრამატიკულად სწორად აგება. აღნიშნული პრობლემის მქონე ბავშვებს ესმით, რასაც ეუბნებიან, მაგრამ თავად უჭირთ სათქმელის სწორად ფორმულირება.

ექსპრესიული ენის დარღვევის ნიშნები:
ლუღუნის დაგვიანება
ცალკეული სიტყვების წელა ათვისება
ორსიტყვიანი ფრაზების გამოყენების დაწყების დაგვიანება (ბავშვი 2-იდან 3 წლამდე ასაკში არ გადაადის ორსიტყვიან წინადადებებზე)
თბიქტების დასახელების სირთულე
სიტყვების ჩანაცვლება (ბავშვი ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეს იყენებს)
გრამატიკული შეცდომებით ლაპარაკი - სივრცითი მიმართებების (ზემოთ, ქვემოთ, შიგნით...), მშნიშვნების, ნაცვალსახელების გამოყენების სირთულეები
3 წლის ასაკში სიტყვებისა და ფრაზების ხშირი გაშვობა
3-4 წლის ასაკში აზრების მოყოლისა და თხრობის სირთულეები
6-7 წლის ასაკში ყურადღების, ფაქტების დამახსოვრების, დასწავლისა და წერა-კითხვის პრობლემები

რეცეპტული ენის დარღვევა - რეცეპტული ენის დარღვევა გავლენას ახდენს ბავშვის უნარზე, გაიგოს ენა, რომელზეც გარშემომყოფები ლაპარაკობენ. ამ სირთულის მქონე ბავშვს უჭირს, იყოს კარგი მსმენელი და მიჰყვეს ინსტრუქციას; საუბრის დროს, შეიძლება ხშირად გაღიზიანდეს და მოსაუბრეს ნათქვამის გამეორება სთხოვოს. შესაძლოა, პრობლემებმა მეტყველების განსხვავებული ტონალობისა თუ მელოდიის აღქმაშიც იჩინოს თავი, რასაც, თავის მხრივ, სხვა სირთულეები მოჰყვება; კერძოდ: ბავშვს გაუჭირდება გაიგოს სიტყვებით გამოხატული ემოციები (სიხარული, ბრაზი, წყენა და ა.შ.) და განწყობები.

ექსპრესიული და რეცეპტული ენის დარღვევის შერეული ფორმა - ბავშვს შესაძლოა ერთდროულად ჰქონდეს როგორც ექსპრესიული, ასევე რეცეპტული ენის პრობლემები. ანუ, დარღვეული იყოს როგორც ენის გამოყენების, ასევე გაგების უნარები.

ფონოლოგიური ცოდნის დარღვევა - გამოვლინებით ის ძალან ჰგავს არტიკულაციური დარღვევას, თუმცა მიზეზები განსხვავებულია: არტიკულაციური სირთულეების დროს, ბავშვი ვერ ახერხებს ბგერების სწორად წარმოთქმას ფიზიკური პრობლემის გამო; ფონოლოგიური დარღვევა კი შედეგია იმისა, რომ ვერ ხერხდება სიტყვაში ბგერების გაერთიანების შესახებ ენის წესების ათვისება. ბავშვებმა არ იციან, როგორ უნდა გააერთიანონ ბგერები განსაზღვრული სიტყვის მისაღებად, ამიტომ ხშირად

გაუგებრად ლაპარაკობენ. ფონოლოგიური ცოდნის დეფიციტის გამო, პრობლემური ხდება სხვისი ნათქვამის გაგებაც.

ფონოლოგიური სირთულეების ნიშნებია:

საუბრის დროს, სიტყვებში ბგერების გამოტოვება ან ჩანაცვლება

სიტყვების შემოკლება

სიტყვაში მარცვლებისა და ბგერების გამოყოფის სირთულეები

ბგერების თანმიმდევრობის აღქმის სირთულეები

წერა-კითხვის ათვისების სირთულეები

მსგავსი უღერადობის ბგერებისა და სიტყვების ერთმანეთისგან გარჩევის პრობლემები (მაგალითად: ბალიბარი; თარო-ტარო და სხვ.)

2.1.2. კომუნიკაციის დარღვევა

სემანტიკურ-პრაგმატული ენის დარღვევა - მკვლევარებს შორის არ არსებობს ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ კატეგორიაში უნდა მოიაზრებოდეს პრაგმატული ენის დარღვევა. ზოგიერთი თვლის, რომ იგი ენის დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა, სხვები კი მიიჩნევენ, რომ პრაგმატული პრობლემები კომუნიკაციის დარღვევების ქვეტიპად უნდა განიხილებოდეს. თუმცა, რომელ კატეგორიასაც არ უნდა მივაკუთვნოთ იგი, მახასიათებლები მაინც უცვლელი რჩება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სემანტიკა ენის ის ასპექტია, რომელიც დაკავშირებულია სიტყვების, ფრაზებისა და წინადადებების მნიშვნელობების გაგებასთან. ამავდროულად, ის უკავშირდება სიტუაციის შესაფერისი სიტყვების, აბსტრაქტული ცნებებისა და გამონათქვამების გამოყენებას საუბრის დროს. პრაგმატიკა კი ენის გამოყენების სოციალურ წესებს გვთავაზობს. კერძოდ, რა და როგორ უნდა ვთქვათ კონკრეტულ სიტუაციაში, როგორ ვაწარმოოთ საუბრის პროცესი და ა.შ. პრაგმატიკის შესახებ ცოდნის გამოყენებით ხდება ხმის ინტონაციის, ტონისა და არამეტყველბითი ქცევითი მიმანიშნებლების (მაგ.: ჟესტების) სწორად გაგება და გამოყენება.

სემანტიკურ-პრაგმატული ენის დარღვევის ნიშნებია:

იყენებს ისეთ ყურმოკრულ ფრაზებს, რომელთა მნიშვნელობა არ ესმის

არ თამაშობს ნარმოსახვით და როლურ თამაშებს

ლაპარაკობს მხოლოდ იმ თემებზე, რაც მას აინტერესებს

უჭირს ენის გამოყენება სოციალური კონტექსტის მიხედვით

უჭირს საუბრის ინიციატივის გამოჩენა, საუბარში ჩართვა ან რიგის დაცვა მოსაუბრესთან

გადაჭარბებულად ბევრ შევითხვას სვამს

არ ამყარებს თვლით კონტაქტს ან სახეზე არ აქვს სიტუაციისა და განწყობის შესაბამისი გამომეტყველება

ვერ იღებს სხვისი სახის გამომეტყველებას ან სხეულის ენას

2.1.3. მეტყველების დარღვევის ტიპები და მათი ნიშნები

მეტყველების დარღვევა დაკავშირებულია ბგერებისა თუ სიტყვების წარმოთქმის პრობლემებთან. მეტყველების დარღვევის ბევრი ფორმა განირჩევა, თუმცა ქვემოთ განხილულია ყველაზე გავრცელებული ტიპები:

არტიკულაციური დარღვევა - ვლინდება სიტყვებისა და ბგერების გამოთქმის სირთულეებით. ბავშვმა შეიძლება ჩაანაცვლოს, გამოტოვოს, დაამატოს ან შეცვალოს სიტყვაში ბგერა, რის გამოც ნათქვამის შინაარსის გაგება რთულდება. პატარა ბავშვებისთვის ასეთი შეცდომების დაშვება ბუნებრივია, თუმცა თუ წლების განმავლობაში მეტყველება არ უმჯობესდება, ეს უკვე მიუთითებს დახმარების აუცილებლობაზე. ითვლება, რომ 4წლის ასაკისთვის ბავშვი "რ"-ს გარდა ყველა ბგერას უნდა ამბობდეს გამართულად.

არტიკულაციური მეტყველების დარღვევის ნიშნები:
ბგერის ან ბგერების გამოტოვება - "ტი" ჭიქის ნაცვლად: "ბუ" "ბურთის მაგიერად და ა.შ.
ბგერის შეცვლა - "ქალი" "ქარის" ნაცვლად
ბგერის დამახინჯება - როცა ბავშვი ცდილობს, მაგრამ ვერ გამოთქვამს კონკრეტულ ბგერებს
ბგერების ან მარცვლების გამეორება - მაგალითად, "ბურთი"-ს ნაცვლად ამბობს "ბურთითი"
გაუგებარი ბგერების წარმოთქმა

მოქნილობის დარღვევა - აღსანიშნავია, რომ ენის ათვისების პროცესში, ტიპიური განვითარების ბავშვების უმეტესობას ახასიათებს მოუქნელი მეტყველება. ეს განსაკუთრებით ეხება ორიდან ხუთ წლამდე პერიოდს. დარღვევაზე ლაპარაკია მაშინ, როცა ბავშვი თანატოლებთან შედარებით უფრო ხშირად უშვებს შეცდომებს. მოქნილობის დარღვევებში განასხვავებენ მოუწესრიგებელ მეტყველებას (მეტყველების სწრაფი, ან პირიქით, ნელი ტემპი) და ენაბორძიკობას.

მოქნილობის დარღვევის ნიშნები:
ბგერების, მარცვლების, სიტყვების ან ფრაზების გამეორება
ბგერებისა თუ სიტყვების განუღვა
სიტყვებს შორის ჰაუზა - თითქოს ბავშვს უჭირს, დაიწყოს ახალი სიტყვის წარმოთქმა
ურეველად დიდი ჰაუზა ლაპარაკის დანერგვამდე
ისეთი შემავსებელი ბგერებისა თუ სიტყვების ხშირად გამოყენება, როგორცაა "ანუ" ან "მმმ"
ტუჩების, ენისა და ყბების კუნთების დაძაბვა ან კანკალი
სიტუაციანე დამოკიდებული ენაბორძიკი - როცა მეტყველების მოქნილობა დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის ელაპარაკება ბავშვი და რისი თქმა სურს
კონტროლის დაკარგვის შეგრძნება - ბავშვი ითრგუნება და ცდილობს, თავი აარიდოს მოგიერთი სიტყვისა თუ ბგერის გამოყენებას
ენაბორძიკის შიშით მეტყველებისთვის თავის არიდება
ხშირად სუნთქვის სირთულეები მეტყველების დროს

ხმის დარღვევები - თუ ბავშვის ხმა ჩახლექილი ან ზედმეტად წვრილია ასაკთან და სქესთან შედარებით, შესაძლოა მას ხმასთან დაკავშირებული სირთულეები ჰქონდეს. ხმის დარღვევის ყველაზე გავრცელებული მიზეზები ლარინგიტი (ხორხის ანთება) და პოლიპები (წარმონაქმნები ცხვირის ღრუს ლორწოვან გარსზე).

დიზარტრია - დიზარტრია ნევროლოგიური დაავადებაა, რომლის გამოც ტუჩების, სახის, ენისა და სასის კუნთების მოძრაობები იზღუდება.

აპრაქსია - აპრაქსია ნევროლოგიური დაავადებაა. გამოიყოფა ვერბალური და ორალური აპრაქსია. ვერბალური აპრაქსია გავლენას ახდენს ბავშვის უნარზე, დაგეგმოს და თანმიმდევრობით შეასრულოს ენის, ტუჩებისა და ყბის მოძრაობები; ვერბალური აპრაქსიის მქონე ბავშვებს შეუძლიათ ცალკეული ხმოვნებისა თუ თანხმოვნების სწორად წარმოთქმა, თუმცა სიტყვაში მათი გაერთიანება უჭირთ; ხოლო ორალური აპრაქსიის დროს, აღინიშნება არამეტყველებითი ისეთი მოძრაობების განხორციელების სირთულეები, როგორცაა ჩაბერვა, წრუპვა, ლოკვა...

2.2. ენისა და მეტყველების განვითარების შეყოვნება თუ დარღვევა?

დარგის სპეციალისტებისთვისაც კი არ არის მარტივი იმის განსაზღვრა, მეტყველების დარღვევასთან აქვთ საქმე თუ დაგვიანებასთან. ფსიქიკური განვითარების ხასიათი თითოეული ბავშვის შემთხვევაში ინდივიდუალურია. ზოგიერთი მათგანი სხვებზე უფრო გვიან იწყებს მეტყველებას, თუმცა მალევე ეწევა განვითარების ტიპურ დონეს. ამის გათვალისწინებით, ხშირად პედიატრი მშობელს ორ ან სამ წლამდე დალოდებას ურჩევს და არ აგზავნის ბავშვს სპეცილიასტთან. ამ გზით, ისინი მშობლების “ტყუილად შემფოთებას” ერიდებიან; მიზეზი კი ისაა, რომ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვები 2-3წლიდან იწყებენ მეტყველებას და პრობლემა პროფესიონალების ჩარევის გარეშე გვარდება. შესაბამისად, მშობლებიც თვლიან, რომ საგანგაშო არაფერია და სჯობს, მოიცადონ. თუმცა, ეს ყოველთვის არ არის სწორი გადაწყვეტილება.

ამგვარად, როგორც კი მშობელი იეჭვებს, რომ ბავშვს შესაძლოა ენისა და მეტყველების ათვისების სირთულე ჰქონდეს, სასურველია, მიმართოს ნეიროფსიქოლოგს, ფსიქოლოგს ან მეტყველების კვალიფიცირებულ თერაპევტს. მაშინაც კი, თუ საქმე მეტყველების დაგვიანებას

ეხება, სპეციალისტი დროულად დააკვალიანებს მშობელს და აუხსნის, თუ რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

და მაინც, რას ნიშნავს ენისა და მეტყველების ათვისების დაგვიანება?

ითვლება, რომ როცა უნარების ათვისება მიჰყვება განვითარების ტიპიურ სურათს, მაგრამ ჩვეულებრივზე უფრო ნელი ტემპით ვითარდება, სახეზეა განვითარების შეყოვნება. ასეთ დროს, ბავშვს პოტენციურად აქვს თავისი თანატოლების მსგავსი უნარები, რომლებიც მათთან შედარებით გვიან უვითარდება. გარკვეულ ეტაპზე, ჩარევის გარეშე, იგი აუცილებლად დაეწევა ტიპიური განვითარების დონეს.

და, რა იგულისხმება ენისა და მეტყველების დარღვევის ცნების ქვეშ?

მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვს თანატოლების მსგავსი ენობრივი და სამეტყველო უნარები არ გააჩნია. ენა და მეტყველება უჩვეულოა და მარტივად, ჩარევის გარეშე არ გვარდება; ეს სირთულე კი უარყოფითად აისახება ბავშვის დასწავლის უნარზე, ქცევასა და სოციალურ სფეროზე.

ამგვარად, თუ ბავშვი იწყებს თანხმონების სწორად წარმოთქმას, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე მისი ასაკის სხვა ბავშვები, შეიძლება ითქვას, რომ მეტყველების განვითარება გვიანდება. დარღვევის შემთხვევაში კი,

ხმონებისა და თანხმონების წარმოთქმა ვერ ან ბიოლოგიურ ასაკთან შედარებით, დამახინჯებულად ხდება.

2.3. ენისა და მეტყველების განვითარებასთან დაკავშირებული მითები

მკვლევარებს შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა იწვევს ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევებს. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში ბევრი მითია გავრცელებული, რაც აფერხებს ადრეული დიაგნოსტიკის პროცესს და შედეგად, უარყოფითად აისახება ბავშვის განვითარების პროგნოზზე. ქვემოთ განხილულია რამოდენიმე მათგანი:


✘ მითი#1: “ბიჭები გოგონებთან შედარებით გვიან იწყებენ მეტყველებას”


✔ რეალობა: კვლევები ადასტურებს, რომ სკოლამდელი ასაკის ბიჭების მეტყველება უფრო ნელა ვითარდება, ვიდრე გოგონების, მაგრამ განსხვავება მხოლოდ ერთი ან ორი თვეა. გარდა ამისა, არსებობს მონაცემები, რომლის თანახმადაც ბიჭებში უფრო ხშირია ენისა და მეტყველების დარღვევები, ვიდრე გოგონებში.

✘ მითი#2: “მეტყველების დარღვევა შეიძლება ორენოვანმა გარემომ გამოიწვიოს”


✔ რეალობა: როდესაც ბავშვი ორენოვან გარემოში იწყე-

ბს ცხოვრებას, მასთან შეიძლება ე.წ. “ჩუმი პერიოდი” დადგეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ცოტას ლაპარაკობს და მეტად კონცენტრირდება ახალი ენის გაგებასა და დასწავლაზე. ასეთ დროს, ბავშვები ხშირად ერთმანეთში ურევინებენ ორი ენის ლექსიკონსა და გრამატიკულ წესებს, რაც ნორმალური პროცესია და ყოველთვის მეტყველების დარღვევის ან სირთულეების ნიშანი არ არის. თუმცა, თუ მდგომარეობა არ უმჯობესდება, სასურველია ოჯახმა სიფრთხილე გამოიჩინოს და სპეციალისტს მიმართოს შესაფასებლად.

 **მითი#3:** ”ბავშვი გამართულად ვერ მეტყველებს, რადგან ბაძავს მეტყველების დარღვევის მქონე დას (ან ძმას)”.

 **რეალობა:** ბავშვების უმეტესობა ბევრ ისეთ ადამიანთან ურთიერთობს, რომლებიც სწორად მეტყველებენ. შესაბამისად, ის არ მიბაძავს მხოლოდ მას, ვისაც მეტყველების სირთულეები აქვს. გამომდინარე აქედან, ეს ფაქტი არ შეიძლება ჩაითვალოს სპეციალისტთან ვიზიტის გადადების მიზეზად.

 **მითი#4:** “ჯიუტია”

 **რეალობა:** ზოგიერთი მშობელი თვლის, რომ ბავშვი მეტყველებას სიჯიუტის გამო არ იწყებს, რაც ასევე არასწორი მიდგომაა. რამდენ ბავშვს ურჩევნია იყვიროს, იტიროს და ჟესტები გამოიყენოს ნაცვლად იმისა, რომ მეტყველებით გააგებინოს სხვებს, რა სურს?! ცხადია, არც ერთს!

გარდა ამისა, მშობელს ხშირად აძლევენ ისეთ რჩევებს, რაც არ შეესაბამება რეალობას:

„თავისით გადალახავს პრობლემას“ - ზოგიერთი ბავშვი მართლაც ახერხებს ამას, თუმცა ყველა - ვერა. მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ მომავლის ზუსტ პროგნოზს ვერავინ გააკეთებს, მათ შორის, ვერც სპეციალისტები.

„ძალიან პატარაა იმისთვის, რომ მისი განვითარება შეფასდეს“ - როგორ ესმის ბავშვს ენა, როგორ თამაშობს და ურთიერთობს სხვებთან, მცირე ასაკშიც ადვილი შესაფასებელია.

„არ ლაპარაკობს, როგორ შეფასდება მეტყველება?“ - ამ შემთხვევაში, ფასდება რეცეპტული ენა და არავერბალური (არამეტყველებითი) კომუნიკაციური უნარები.

„სკოლის დაწყებამდე მოცდა სჯობს“ - კვლევები ადასტურებს, რომ რაც უფრო მალე ჩაერთვება სპეციალისტი და დაიწყება რეაბილიტაციაზე მუშაობა, შედეგები მით უფრო უკეთესია. არსებობს ბევრი პროგრამა, რომლებიც სკოლამდელი ასაკის ბავშვების რეაბილიტაციაზეა მიმართული.

2.4. ვინ არის დარღვევის განვითარების რისკის ქვეშ? შესაძლო მიზეზები

დღესდღეობით, აღნიშნული დარღვევების მიზეზების ცალსახად გამოყოფა ვერ ხდება. მეტყველების დარღვევების ამხსნელ ბიოლოგიურ თეორიებში საუბარია გენეტიკურ მიდრეკილებაზე, რაც ენის დარღვევების ერთ-ერთ შესაძლო მიზეზადაც მოიაზრება; ასევე, არსებობს გარკვეული კავშირი შუა ყურის ანთებასა და ენის განვითარების შეფერხებას შორის. ფსიქოლოგიური თეორიების მომხრეები კი ისეთი კონკრეტული უნარების მოუმწიფებლობაზე აკეთებენ აქცენტს, რაც უშუალო კავშირშია ენის განვითარებასთან; ესენია:

სემანტიკური მესხიერების დარღვევა (მესხიერების ეს ფორმა ინახავს ცნებებისა და მნიშვნელობების შესახებ ზოგად ცოდნას)

გრამატიკული წესების ათვისების დარღვევა

მუშა მესხიერების დეფიციტი (ხანმოკლე დროით ინფორმაციის გონებაში გაჩერებისა და მიზნის შესაბამისად გამოყენების სირთულე)

ყურადღების კონცენტრაციის სირთულე

დაგეგმვის უნარის დარღვევა

სმენითი სტიმულების თანმიმდევრული აღქმის დარღვევა

სმენითი ინფორმაციის სწრაფი გადამუშავების დარღვევა

ფონოლოგიური ცოდნის დეფიციტი (ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის უნარების მოუმწიფებლობა)

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ენისა და მეტყველების დარღვევებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

მემკვიდრეობა - ენისა და მეტყველების ოჯახური ისტორიის ქონა მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად ითვლება. ის ბავშვები, რომელთა მშობლებს ან დედამამიშვილს მეტყველების ან დასწავლის სირთულეები ჰქონდათ, იგივე პრობლემების გამოვლენის მაღალი რისკი აქვთ.

ოჯახის ზეგავლენა - ის, თუ როგორ ურთიერთობენ მშობლები ბავშვებთან, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის მეტყველების უნარებზე. ის მშობლები, რომლებიც ხშირად ეთამაშებიან ბავშვს, ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ცდილობენ მათ ჩართვას საუბარში, ელაპარაკებიან გამარტივებული ლექსიკით და სხვადასხვა საგნების მნიშვნელობას უხსნიან, უფრო მეტად უწყობენ ხელს ენისა და მეტყველების განვითარებას; ხოლო ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც ამ მხრივ პასუხისმგებლობას ნაკლებად გრძნობენ და მეტად ცდილობენ ბავშვის ქმედებების თუ სასაუბრო თემების კონტროლს, უფრო მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან.


სმენის დაქვეითება ან დაკარგვა - სმენადაქვეითებული ბავშვები რეცეპტული და ექსპრესიული ენის დარღვევის მაღალი რისკის ქვეშ არიან. ამ შემთხვევაში, თუ ოჯახი

დროულად არ მიმართავს სპეციალისტს, ისეთმა სირთულეებმაც შეიძლება იჩინოს თავი, როგორცაა დასწავლის სიმძნელები, სოციალური იზოლაცია და დაბალი თვითშეფასება.

სხვა ტიპის განვითარების დარღვევის ან სამედიცინო მდგომარეობის არსებობა - ხანდახან ენისა და მეტყველების გამხატული პრობლემები შეიძლება აღნიშნული დარღვევის სინდრომის ნიშანი კი არ იყოს, არამედ - რაიმე სხვა მდგომარეობის ერთ-ერთი სიმპტომი. ასეთი მდგომარეობებია, მაგალითად: ეპილესია; აუტიზმი; უყურადღებობისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი; დასწავლის უნარის დარღვევა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მდგომარეობები ხშირად ახლავს თან ენისა და მეტყველების სირთულეებს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვს აუცილებლად ექნება სხვა რომელიმე დიაგნოზი. უბრალოდ, ეს შესაძლებლობა კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ მდგომარეობის შეფასება დროულად მოხდეს. მხოლოდ ადრეული დიაგნოსტიკა იძლევა საშუალებას იმისა, რომ ოჯახმა დროულად გაიგოს, რა ესაჭიროება ბავშვს.

2.5. ენისა და მეტყველების დარღვევები და სენსორული ინტეგრაცია



ენისა და მეტყველების დარღვევებთან ერთად ხშირია სენსორული ინტეგრაციის დარღვევა, რაც, **ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემების მიზეზიც შეიძლება იყოს.**

სენსორული ინტეგრაცია არის ორგანიზმის უნარი, გადაამუშავოს შეგრძნების ორგანოებიდან (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება) მიღებული ინფორმაცია. სენსორული ინტეგრაციის დარღვევა ვლინდება მაშინ, როცა ფერხდება ტვინის მიერ შეგრძნებების გაანალიზების, ორგანიზმებისა და გაერთიანების (ინტეგრაციის) უნარი. ბავშვს, რომელსაც აღნიშნული დარღვევა აქვს, უჭირს შეგრძნებებზე შესაბამისი რეაგირება.

დარღვევის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ე.წ სენსორული შიმშილი, რაც შეიძლება შემდეგი ქცევებით გამოიხატოს:

ზედმეტი რწევა და ქანაობა

ხშირი ტრიალი და ცოცვა

ხმამალალი ლაპარაკი

არასაკვები ნივთიერებების გასინჯვის მოთხოვნილება

მძაფრი სუნების მოთხოვნილება

კაშკაშა, მანათობელი ობიექტების ყურებით უჩვეულოდ დიდი სიამოვნების მიღება

თუ ტვინი შეგრძნებებს ზედმეტად ინტენსიურად აფიქსირებს, ამან შეიძლება ისეთი ქცევები გამოიწვიოს, რომელთა მიზანიც შეგრძნებების თავიდან არიდებაა. მაგალითად:

ბავშვი უარს ამბობს განსაზღვრული ფაქტურის მქონე ტანსაცმლის ჩაცმაზე (მაგ. ყელიანის ან ნაქსოვის)

მძაფრად რეაგირებს პატარა, უმნიშვნელო ლაქის შემჩნევაზე

არ უყვარს სირბილი, ცოცვა, საქანელები

ამინებს და არ სიამოვნებს მოულოდნელი ხმები (მაგ. სარეცხი მანქანის, ბლენდერის ან მტვერსასრუტის ხმა)

ამჩნევს ისეთ სუნებსაც კი, რაზეც სხვებს არ აქვთ რეაქცია

პრეტენზიული მჭამელია და ზოგიერთი ტიპის საკვებს არ ეკარება

როგორ ახდენს გავლენას სენსორული ინტეგრაცია ენისა და მეტყველების ათვისებაზე? ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: “წარმოიდგინეთ, რომ

მოსაუბრე გიხსნით, რა მიმართულებით უნდა წახვიდეთ სასურველ ადგილზე მოსახვედრად. თქვენ მას უნდა მოუსმინოთ, ინფორმაცია გადაამუშავოთ და შესაბამისი შეკითხვები დასვათ. თუმცა, ამ დროს ქუჩიდან შემომავალი ხმაური და ტანსაცმელი გაწუხებთ, რომლის გამოც უსიამოვნო შეგრძნება გაქვთ. ბუნებრივია, რომ ამ დროს ყურადღების ფოკუსირება და მოსაუბრის გაგება გაგიჭირდებათ” (D.Feit; 2007).

სენსორული ინტეგრაცია დიდ როლს თამაშობს ყურადღების კონცენტრაციასა და სხვისი ნათქვამის გაგებაში. ენის უკეთ გასაგებად აუცილებელია ტვინმა სმენითი თუ ვესტიბულური შეგრძნებების (სხეულის მოძრაობისა და წონასწორობის შესახებ ინფორმაცია) სწორად გაერთიანება შეძლოს. შესაბამისად, თუ ბავშვს აღნიშნული შეგრძნებების გადამუშავების პრობლემა აქვს, მას სმენითი ინფორმაციის გადამუშავებაც გაუჭირდება.

სენსორულ ინტეგრაციასთან მეტყველების წარმოებაც არის დაკავშირებული. საუბრისთვის აუცილებელია ორი კომპონენტი - ტუჩების, ენისა თუ ყბის კუნთების ტონუსის შენარჩუნება და მოძრაობების დაგეგმვა. ვესტიბულური სისტემიდან წამოსული შეგრძნებების სწორად აღქმა კი ამ პროცესებისთვისაც აუცილებელია (D.Feit; 2007).

2.6. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის განვითარების დარღვევის თანმდევი სირთულეები

ენისა და მეტყველების როლი უმნიშვნელოვანესია სოციალური, კოგნიტური, ემოციური და ქცევითი სფეროების განვითარებისთვის. შესაბამისად, შეფერხება უარყოფითად ზემოქმედებს ბავშვის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე, რის შედეგად წარმოიშობა მეორადი სირთულეები (U.Willinger&E.Brunner; 2003). ქვემოთ განხილულია რამოდენიმე მათგანი:

აკადემიური სირთულეები: ბავშვების უმეტესობა პრობლემის დაძლევის სკოლაში შესვლამდე ახერხებს. განსაკუთრებით, თუ მას სპეციალისტებიც ეხმარებიან. თუმცა, ყველა შემთხვევაში ასე არ ხდება და სკოლაში შესვლის შემდეგ ბავშვი უფრო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგება. თანატოლებთან შედარებით, მათ მეტად უჭირთ დასწავლა; მასწავლებლისა თუ თანაკლასელების მოსმენა, მითითებების გაგება, წერა-კითხვის ათვისება, თხრობა და წაკითხულის გააზრება ის არასრული ჩამონათვალია, რაც შეიძლება ბავშვისთვის დიდ სირთულესთან იყოს დაკავშირებული. სხვებთან შედარებით, მას მეტი დრო სჭირდება ინფორმაციის გადასამუშავებლად.

ბავშვს სკოლაში შეიძლება გაუჭირდეს:

- საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის მიღება
- მასწავლებლის თუ თანაკლასელების მონათხრობის გაგება
- წერა-კითხვის ათვისება
- თხრობა
- დასწავლა და დამახსოვრება
- წერა-კითხვის ათვისების შემთხვევაში, ტექსტიდან შინაარსის გამოტანა
- არითმეტიკული ოპერაციების განხორციელება
- ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნება
- დამოუკიდებლად მუშაობა
- აქტივობების დაგეგმვა, შესრულება და კონტროლი

თანატოლებთან ურთიერთობა: ბავშვებს უჭირთ თანატოლებთან ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ენის გაგებისა და საკუთარი აზრების გადმოცემის სირთულეები, ან პრაგმატული ენის დარღვევები, როცა ვერ ხერხდება სხვების ემოციებისა და განწყობების გაგება, თემის მიყოლა და კონტექსტის შესაბამისად საუბარი. აღნიშნული უნარების მოუმწიფებლობა ამცირებს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების შესაძლებლობას, შედეგად კი, იზრდება დაბალი თვითშეფასებისა და სხვა ემოციური თუ ქცევითი პრობლემების ჩამოყალიბების რისკიც (შფოთვა,

დეპრესიული გუნება-განწყობა, ანტისოციალური ქცევები და ა.შ).

ემოციური სირთულეები : ბავშვები გრძნობენ და მძაფრად განიცდიან იმას, რომ თანატოლებივით კარგად ვერ ახერხებენ სათქმელის ჩამოყალიბებასა და სწავლას.. წარუმატებლობის შიშის გამო სკოლის მოსწავლეები ხშირად უარსაც კი ამბობენ საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე; თავს არიდებენ გაკვეთილის მოყოლასა (მაშინაც კი, თუ მომზადებული აქვთ) და შეკითხვების დასმას. არც თუ იშვითად, განსხვავებულობის შეგრძნება ბავშვებში დაბალ თვითშეფასებას, შფოთვისა და დაქვეითებულ გუნება-განწყობას აყალიბებს. სკოლამდელ ასაკში მუტიზმიც კი გვხვდება - როცა ბავშვები წარუმატებლობის შიშით საერთოდ წყვეტენ საუბარს.

ქცევითი პრობლემები: ერთ-ერთი კვლევის თანახმად, ქცევითი სირთულეები ვლინდებოდა ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვების 50%-ში, მაშინ როცა ტიპური განვითარების მქონე ბავშვებში ეს მაჩვენებელი 12%-ს არ აღემატებოდა. ხშირია კონფლიქტები, თვითკონტროლის სირთულეები, ადვილად გაღიზიანებადობა და დაუმორჩილებლობა; რიგ შემთხვევებში მდგომარეობა იმდენად რთულდება, რომ ბავშვები აგრესიული ხდებიან და შეიძლება ფიზიკური ზიანიც კი მიაყენონ საკუთარ თავს ან სხვას. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას,

რომ ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევის მქონე ბავშვს აუცილებლად ექნება ქცევის მართვის სიმძნელებიც. უფრო მართებული იქნება საკითხის შემდეგნაირად გააზრება: ქცევით პრობლემებს ხანდახან შეიძლება ერთი მიზეზი, ენისა და მეტყველების დარღვევა ედოს საფუძვლად.

თავი 3.

მეტყველების, ენისა და კომუნიკაციური უნარების შეფასება



წინამდებარე თავი ცდილობს დაეხმაროს მშობელს ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის სირთულეების აღმოჩენასა და მართვაში. განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა, ვის უნდა მიმართოს მშობელმა შეფასებისთვის, როგორ მიმდინარეობს

ეს პროცესი და რა სირთულეები შეიძლება წარმოიქმნას ამ დროს; გარდა ამისა, მკითხველი გაეცნობა, თუ რა როლი აქვს მშობელს და ოჯახის წევრებს შეფასებისას და რატომ არის მნიშვნელოვანი ოჯახის ფსიქოგანათლება.

3.1. როგორ ამოიცნოს მშობელმა ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები?

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები ყველა ბავშვთან თავისებურად ვლინდება. მიუხედავად ამისა,

სა, მაინც შეიძლება გამოიყოს გარკვეული ნიშან-თვისებები, რომელიც საერთოა ამ მდგომარეობებისთვის. ყველაზე ხშირი ნიშნები, რომლითაც ენის, მეტყველების ან კომუნიკაციის პრობლემები ამოიცნობა, თავს იჩენს შემდეგი სახით:

- ☺ თანატოლებთან შედარებით, ბავშვი არ ან ნაკლებად საუბრობს;
- ☺ თანატოლებთან შედარებით, უჭირს სიტყვების წარმოთქმა ან ამახინჯებს სიტყვებს
- ☺ თანატოლებთან შედარებით ბავშვს აქვს სიტყვების მწირი მარაგი;
- ☺ თანატოლებთან შედარებით, უჭირს, ან საერთოდ ვერ იგებს მითითებებს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თითოეული ნიშანი მაშინ აჩენს ეჭვს დარღვევის შესახებ, როცა საუბარია ბავშვის უნარების განვითარების ქრონოლოგიურ ასაკთან აცდენაზე. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა: რას ნიშნავს ბავშვის განვითარების ასაკისთვის შესაბამისი უნარები? რა არის დაგვიანებული მეტყველება და როგორ უნდა მიხვდეს მშობელი, რომ მეტყველების განვითარება ნორმას ჩამორჩება?

საილუსტრაციოდ, დანართში მოცემულია ცხრილები (იხ. დანართი 1,2) რომელთაგან ერთი ასახავს ენის,

მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარების ტიპურ, ხოლო მეორე ატიპურ განვითარებას. ამგვარად, პირველ ცხრილში განხილულია, თუ როგორ მიმდინარეობს ტიპური განვითარება ასაკის მიხედვით; მეორე ცხრილში კი წარმოდგენილია ის ნიშნები, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. ამ ნიშნების ამოცნობის შემთხვევაში, აუცილებელია, მშობელმა მიმართოს სპეციალისტს.

3.2. დროული დიაგნოსტიკის მნიშვნელობა

მშობლები ხშირად ფიქრობენ, რომ პრობლემები დროებითია და მალე გამოსწორდება; რომ ბავშვი ცოტათი აგვიანებს მეტყველებას, ასეთი შემთხვევები კი არც თუ იშვიათია. ხშირად კი, როცა დარღვევაზე უჩნდებათ ეჭვი, მრავალი ადამიანი ცდილობს მათ გადარწმუნებას. ისინი ამშვიდებენ დედას, რომ მსგავსი პრობლემები ხშირია და საგანგაშო არ არის. დედაც მშვიდადაა.

თუმცა, სპეციალისტთან შეფასების გადადება სხვა მიზეზებითაც ხდება ხოლმე: ეს შეიძლება იყოს ხარჯებთან დაკავშირებული პრობლემები, სპეციალისტების შესახებ ინფორმაციის არქონა, ან თუნდაც შიში, რომ მათი ეჭვები გამართლდება და ბავშვს რაიმე დარღვევა აღმოაჩნდება.

გასათვალისწინებელია, რომ პირველი სამი წელიწადი ბავშვის განვითარებისთვის კრიტიკულ პერიოდად მოი-

აზრება. ადამიანის თავის ტვინი ახალი ინფორმაციის ათვისებასთან ერთად იცვლება, პირველ წლებში კი ეს პროცესი ყველაზე სწრაფად მიმდინარეობს. თუ ბავშვი არ სწავლობს კომუნიკაციას, მაშინ როცა მისი თავის ტვინი ყველაზე მეტად არის მზად ამისთვის, იმის შანსი არსებობს, რომ უნარის ათვისება გვიან წლებში უფრო გაჭიანურდეს. სწორედ ამიტომ არის ადრეული ჩარევა მნიშვნელოვანი - ოჯახის წევრები და სპეციალისტები რაც უფრო მალე დაიწყებენ ბავშვთან მუშაობას, შედეგიც უფრო სწრაფი და ეფექტური იქნება.

3.3. ვის უნდა მიმართოს მშობელმა შეფასებისთვის

ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის შეფასება სისტემატიური პროცესია და ბავშვის შესახებ მონაცემების შეგროვებას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას მოიცავს. ის ორ მიზანს ემსახურება:

1. უნარების შეფასება შემდგომში ჩარევის დადგენის მიზნით,
2. პროგრესისა და ცვლილებების მონიტორინგი.

ბავშვი უნდა შეაფასოს ისეთმა სპეციალისტმა, რომელსაც ენისა და მეტყველების განვითარების ეტაპები კარგად ესმის. ასეთია ბავშვთა ფსიქოლოგი, ნეიროფსიქოლოგი,

ენისა და მეტყველების თერაპევტი და ა.შ. აუცილებელია ასევე აუდიოლოგთან ვიზიტი, რათა გამოირიცხოს სმენის პრობლემა.

შეფასების დროს, სპეციალისტები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ; ესენია: ინტერვიუ, ტესტები, კითხვარები და სხვ. პროცესის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მშობელთან და ოჯახის წევრებთან გასაუბრებაა. ამ დროს ბავშვის შესახებ ისეთი ინფორმაციის შეგროვება ხდება, როგორცაა მისი განვითარების ისტორია, ქცევის თავისებურებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, სამედიცინო ისტორია და ა.შ.

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ ბავშვის შეფასება და ოჯახის წევრებთან გასაუბრება საკმარისი არ არის. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეიძლება საჭირო გახდეს ბალის ან სკოლის მასწავლებლის ინტერვიუც. საკლასო ოთახში დაკვირვებაც შეფასების ერთ-ერთი დამატებითი კომპონენტია,

სპეციალისტების მიზანია მიიღონ მაქსიმალურად სრულყოფილი ინფორმაცია:

★ *ბავშვის რეცეპტული ენის შესახებ* - რამდენად კარგად ახერხებს ბავშვი ნათქვამის გაგებას, გადამუშავებასა და ინტეგრირებას? პროცესისთვის აუცილებელია სმენის სკრინინგი.

★ *ბავშვის ექსპრესიული ენისა და მეტყველების შესახებ* - რამდენად მარტივად ახერხებს ბავშვი სიტყვების თავმოყრას, თავისი ფიქრების ფორმულირებასა და მეტყველებით გამოხატვას? რამდენად მოქნილია მისი მეტყველება?

★ *ბავშვის ორალურ - მოტორული ფუნქციონირების შესახებ* - მოქმედებენ თუ არა ერთდროულად და თანმიმდევრულად ბავშვის სამეტყველო ორგანოები (ენა, ტუჩები, ყბა, სახის კუნთები და ა.შ.) სიტყვების გამოსახატავად? აქვს თუ არა ბავშვს ფიზიკური პათოლოგია? ხომ არ უჭირს ღეჭვა, ყლაპვა, წოვა, ჩაბერვა? ამ პროცესისთვის საჭიროა პირისა და სახის კუნთების შემოწმება.

★ *ბავშვის სხეულის მდგომარეობის შესახებ* - როგორია ბავშვის ზოგადი კუნთოვანი ტონუსი და ახდენს თუ არა ეს გავლენას მეტყველებასა და ხმაზე?

★ *ბავშვის ქცევის შესახებ* - როგორ ერთვება ბავშვი სპეციალისტთან კომუნიკაციაში? იქცევა თუ არა სხვა ბავშვების მსგავსად? როგორ ერთვება თამაშებში? და ა.შ.

საბოლოოდ, სპეციალისტი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით წერს დასკვნას და იძლევა რჩევებს იმის შესახებ, თუ რომელი სახის თერაპიაა ბავშვისთვის უკეთესი.


3.4. რა სირთულეები წარმოიქმნება დიაგნოსტიკის პროცესში?


მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ბავშვები არა-თანმიმდევრულნი არიან: სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად იქცევიან. შესაძლოა, განსხვავებულად ავლენდნენ თავის უნარებს სახლში, სკოლაში და სპეციალისტთან. იმისთვის, რომ კლინიკაში მისულმა ბავშვმა თავისი უნარები გამოავლინოს, ბავშვსა და სპეციალისტს შორის უნდა დამყარდეს ნდობა; ეს კი არც ისე მარტივი პროცესია. სწორედ ამიტომ, შესაძლოა, ერთი შეხვედრა არ იყოს საკმარისი ბავშვის უნარების გამოსავლენად და შესაბამისად, არც შესაფასებლად. განმეორებითი ვიზიტის მიზეზი ბავშვის გადაღაც შეიძლება გახდეს. ხშირად, გამოკვლევა იმდენად დიდხანს გრძელდება, რომ ბავშვი იფიტება და შეფასების პროცესი ვეღარ გრძელდება (რადგან ამ შემთხვევაშიც ბავშვი ვეღარ ავლენს სრულად თავის შესაძლებლობებს).


აღნიშნული მიზეზების გამო ბავშვის მიერ ტესტში მიღებული ქულები შეიძლება არ ასახავდეს რეალობას; ამიტომ, საჭირო ხდება ბავშვის ქცევაზე დამატებითი დაკვირვება; ეს კი დროში იწელება. ამ მიზეზების გამო, ხშირად სპეციალისტებს დიაგნოსტიკისთვის დიდი დრო სჭირდებათ ხოლმე.

3.5. მშობლის როლი დიაგნოსტიკაში

მშობლის ჩართულობა აუცილებელია გამოკვლევის პროცესისთვის. სწორედ მშობლებსა და ოჯახის წევრებს აქვთ ყველაზე მეტი ინფორმაცია ბავშვის განვითარებისა და ჯანმრთელობის შესახებ. სწორად მიწოდებული ინფორმაცია ეხმარება მკვლევარს ბავშვის მდგომარეობის მიზეზების ახსნასა და შემდგომში, ჩარევის დაგეგმვაში. მშობელმა, იცის თუ რა სიტუაციებში ავლენს ბავშვი პრობლემებს; რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები ან ქცევის მართვის რომელი მეთოდებია ეფექტური. მაგალითისთვის, შესაძლოა მას უჭირდეს მეტყველება სკოლაში, მაშინ, როცა სახლში მოქნილად მეტყველებს. მშობლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რამდენიმე მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი:

 მშობელი ბავშვის შესახებ ფლობს ისეთ დამატებით ინფორმაციას, რომელსაც სპეციალისტი ფორმალურ გარემოში ვერ იღებს. მშობელი ბავშვს კარგად იცნობს ყველა სიტუაციაში.

 მშობელს იმ ჩვევების შესახებაც აქვს ინფორმაცია, რომელსაც სპეციალისტი ვერ დააკვირდება, მაგალითისთვის, ძილის ჩვევები, ურთიერთობები ოჯახის წევრებთან და ა.შ.

 მშობელს ესმის ბავშვის უნიკალური ქცევითი მახასიათებლები, მისი ენა ან არავერბალური მიმანიშნებლები, რაც შეფასების პროცესს აადვილებს.

3.6. ოჯახის ფსიქოგანათლების მნიშვნელობა

ოჯახის წევრებს ბავშვის კომუნიკაციური უნარების განვითარებაში დიდი როლი აქვთ. ბავშვის თერაპია მაქსიმალურ ეფექტს მაშინ აღწევს, როცა ოჯახის წევრებს კარგად ესმით სიტუაცია და იცავენ იმ წესებსა და მითითებებს ბავშვთან მიმართებაში, რომელსაც თერაპევტი იძლევა. პრობლემების გაანალიზებაში ოჯახის წევრებს ფსიქოგანათლება ეხმარება.

ფსიქოგანათლება პაციენტებისთვის, მისი ოჯახის წევრებისთვისა და ახლობლებისთვის განკუთვნილი თერაპიული პროცესია, რაც მათთვის ბავშვის მდგომარეობაზე ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს. ფსიქოგანათლების მთავარი მიზანია დაეხმაროს მათ ამ მდგომარეობასთან შეგუებასა და გამკლავებაში. როგორ შეიძლება, რომ ოჯახის ფსიქოგანათლება ბავშვს დაეხმაროს? ფსიქოგანათლება პირდაპირ გულისხმობს ადრინდელთან შედარებით მეტი ინფორმაციის ფლობას. იმ ინფორმაციის, თუ რა პრობლემების წინაშე დგას ბავშვი და როგორ ახდენს ეს მდგომარეობა მასზე გავლენას. დარღვევის შესახებ ინფორმაციის ფლობა კომპეტენტურობის განცდას იძლევა და სიტუაციის მართვაც შედარებით მარტივი ხდება. მდგომარეობა უმსუბუქდება ბავშვსაც, რადგან ის ოჯახის წევრების თანადგომას გრძნობს. ამ გზით მშობლები სწავლობენ, თუ რა და როგორ უნდა მოითხოვონ ბავშვისგან.

თავი 4.

სპეციალისტები და მათი ფუნქციები



მშობლებს ხშირად უჭირთ ერთ სფეროში მომუშავე სპეციალისტების გარჩევა და მათი მოვალეობების განსაზღვრა. ამ თავის მიზანია დაეხმაროს მას იმის განსაზღვრაში, თუ ვის და როდის უნდა მიმართოს ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე.

მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების ორ ჯგუფად დაყოფაა შესაძლებელი. ნაწილი მონაწილეობს ბავშვის დიაგნოსტიკისა და შეფასების პროცესებში, ხოლო ნაწილი მკურნალობის პროცესში. თუმცა, არსებობენ სპეციალისტები, რომლებიც ორივე ფუნქციას ითავსებენ.

პედიატრი - ხშირად, როცა მშობელს ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით ეჭვი უჩნდება, პირველ რიგში, პედიატრთან მიდის. პედიატრი ბავშვთა ექიმია, რომელს შეფასების შედეგად საზღვრავს პრობლემების შესაძლო მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში, ბავშვს შესაბამის სპეციალისტთან ამისამართებს.

ბავშვთა ნევროლოგი - ექიმი, რომელიც ნერვულ სისტემასთან დაკავშირებულ სამედიცინო მდგომარეობებს მკურნალობს. ეს მდგომარეობები მოიცავს გულყრებს, ეპილექსიას, კუნთოვან დაავადებებს, თავის ტკივილებს, თავის ტვინის ტრავმებს, კოგნიტურ დარღვევებსა და განვითარების დარღვევებს. მას შეუძლია მედიკამენტოზური მკურნალობის დანიშვნა, სხვადასხვა მდგომარეობის გამორიცხვა და დიაგნოზის დასმა. ბავშვთა ნევროლოგმა უნდა გამორიცხოს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებასთან ან უჩვეულო მოქმედებასთან დაკავშირებული მდგომარეობები.

ბავშვთა ფსიქიატრი - არის ფსიქიკური დაავადებებისა და ჯანმრთელობის სპეციალისტი. ემოციების, გუნება-განწყობისა და ქცევის დასარეგულირებლად მას უფლება აქვს დანიშნოს მედიკამენტოზური მკურნალობა. ფსიქიატრმა უნდა გამორიცხოს შფოთვითი ან რაიმე სხვა ემოციური აშლილობებისგან გამოწვეული მეტყველების პრობლემები: მაგალითად, სელექციური მუტიზმი, რაც










გულისხმობს ემოციური აშლილობებით გამოწვეულ მეტყველების უუნარობას.

აუდიოლოგი - ადგენს და მკურნალობს სმენასთან და ბალანსთან დაკავშირებულ პრობლემებს. მასთან ვიზიტი აუცილებელია, რათა გამოირიცხოს სმენის დარღვევით გამოწვეული ენისა თუ მეტყველების პრობლემების არსებობა.

თუ ბავშვს სმენის პრობლემები დაუდგინდა, აუდიოლოგები საზღვრავენ, სჭირდება თუ არა მას სასმენი აპარატურა და კოხლეარული იმპლანტი (სამედიცინო ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მაგრდება ოპერაციის მეშვეობით და დაზიანებული შიდა ყურის ნაცვლად ითავსებს სმენის ფუნქციას). დაკვირვების საფუძველზე ფასდება, თუ როგორ ეგუება ბავშვი დამხმარე საშუალებებს და ამის მიხედვით გაიცემა თერაპიისთვის რეკომენდაციები.

ბავშვთა ოტოლარინგოლოგი - არის ექიმი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება ყურის, ცხვირის, ხახისა და ხორხის დაავადებების შესახებ. ოტოლარინგოლოგთან გადამისამართება ხდება მაშინ, როცა სმენის დაკარგვაზე ან ხმის დარღვევაზე არსებობს ეჭვი და ხახის, ხორხისა და სმენის შემოწმება საჭირო.

ენისა და მეტყველების თერაპევტი - მეტყველების თერაპევტები აქტიურად მონაწილეობენ აღნიშნული მდგომარეობის შეფასებისა და რეაბილიტაციის პროცესში. მათი ჩართულობა აუცილებელია, როცა ვლინდება:

-  იდეების გამოხატვის, სიტყვების გახსენების, სწორი სიტყვის შერჩევის, წინადადების ჩამოყალიბების პრობლემები;
-  ნათქვამის გაგების სირთულეები;
-  კითხვასთან და წერასთან დაკავშირებული სირთულეები;
-  ბგერების წარმოთქმასთან და გასაგებად საუბართან დაკავშირებული სირთულეები ;
-  ხმასთან დაკავშირებული დარღვევები
-  მეტყველების მოქნილობასთან დაკავშირებული სირთულეები
-  დაგვიანებული ან დარღვეული ენის განვითარება;
-  ენისა და კომუნიკაციის სოციალური გამოყენების სირთულეები;
-  ყლაპვასა და კვებასთან დაკავშირებული დარღვევები.

ბავშვთა ნეიროფსიქოლოგი - ადგენს თავის ტვინსა და ქცევას შორის კავშირს. ნეიროფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები მშობლებს, მასწავლებლებსა თუ სამედიცინო პერსონალს ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, თუ: როგორი სტილით აზროვნებს ბავშვი და

რა რესურსებს იყენებს პრობლემების გადასაჭრელად, როგორია მისი შემცენებითი უნარები და ემოციურ-ქცევითი რეგულაციის დონე. შედეგად, დგინდება მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და არსებული პრობლემების გამომწვევი შესაძლო მიზეზები. შეფასების ეტაპის შემდეგ, ნეიროფსიქოლოგი გასცემს რეკომენდაციებს თერაპიისთვის. საჭიროების შემთხვევაში კი, მშობლებს სხვა სპეციალისტთან ამისამართებს.

ფსიქოთერაპევტი - აფასებს ბავშვის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას; თუმცა, ფსიქიატრისგან განსხვავებით, მას მედიკამენტის გამოწერის უფლება არ აქვს. ფსიქოთერაპევტის ჩართულობა ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ენის, მეტყველებისა თუ კომუნიკაციის დარღვევების მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ ემოციური და ქცევითი სირთულეები.

ოკუპაციური თერაპევტი - ხშირად ენისა და მეტყველების სირთულეების მქონე ბავშვებს აქვთ სენსორული ინტეგრაციის პრობლემაც, რაც სხვადასხვა გრძნობითი ორგანოდან (მაგ. თვალი, ყური) მიღებული ინფორმაციის შეერთებისა და გადამუშავების პრობლემას გულისხმობს. ამ დარღვევის შემთხვევაში სწორედ ოკუპაციური თერაპევტის ჩართულობაა აუცილებელი.

4.1. ენისა და მეტყველების დარღვევის შემთხვევაში სკოლაში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება; ხოლო სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვს აქვს უფლება მიიღოს სპეციალური განათლება.

სპეციალური განათლება ფართო ცნებაა, რომელიც ბავშვის საჭიროებებს ეყრდნობა და მრავალფეროვან მომსახურებას გულისხმობს. ცნება არ გულისხმობს სპეციალური ოთახის ან სკოლის გამოყოფას. მოიაზრება, რომ ბავშვები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ სასწავლო პროცესში ისე, რომ დამატებით თავიანთი საჭიროებების მიხედვით მიიღონ მომსახურება. ეს მომსახურება ბავშვს საშუალებას უნდა აძლევდეს განვითარდეს თავისი შესაძლებლობების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვისთვის გაიწეროს მის უნარებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც ასახული იქნება ძირითადი მიზნები და მათი მიღწევის სტრატეგიები.

როგორ განისაზღვრება, სჭირდება თუ არა ბავშვს სპეციალური დახმარება? თუ მშობელი ან მასწავლებელი ამჩნევს ბავშვის პრობლემებს სწავლის პროცესში, ამის შესახებ ინფორმაცია სკოლის პერსონალს უნდა მიაწოდონ.

სკოლა კი მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს ან კონკრეტულ სპეციალისტს ბავშვის შესაფასებლად.

4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სკოლაში

ბავშვის სკრინინგის, გადამისამართებისა და შეფასების შემდგომ აუცილებელია იმის დადგენა სჭირდება თუ არა მას სწავლების სპეციფიური სტრატეგიები. ამისათვის საჭიროა რჩევების მიღება იმ სპეციალისტებისგან, ვისთანაც ბავშვი შეფასდა. სპეციალურისაგან განსხვავებულ საჭიროების დადგენის შემთხვევაში აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა; ეს არის წერილობითი დოკუმენტი, სადაც ასახულია ბავშვის განვითარებისთვის შედგენილი მიზნები, ამოცანები და მათი მიღწევის სტრატეგიები. ამ დოკუმენტის შექმნისას მშობლის ჩართულობა მნიშვნელოვანია.

ტერმინთა განმარტება

აუდიოლოგი - სპეციალისტი, რომელიც სვამს დიაგნოზს და მკურნალობს სმენასთან და ბალანსთან დაკავშირებულ პრობლემებს.

არავერბალური მიმანიშნებლები - არამეტყველებითი კომუნიკაციის საშუალება, რომელშიც შედის სხეულის ენა, დისტანცია, ხმისა და შეხების მახასიათებლები.

დასწავლის უნარის დარღვევა - ვლინდება ისეთი უნარების მოუმწიფებლობით, რაც აუცილებელია სასკოლო მასალის ასათვისებლად;

ვესტიბულური შეგრძნებები - იგულისხმება სხეულის წონასწორობისა და მოძრაობების შესახებ ინფორმაცია;

კოგნიტური უნარები - გულისხმობს სხვადასხვა გონებრივი აქტივობის შესრულების უნარს.

კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია - ფსიქიკური ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად შექმნილი ფსიქო-სოციალური თერაპიის ნაირსახეობა.

კომორბიდობა - ორი ან მეტი დარღვევის ერთდროული თანაარსებობა.

კოხლეარული იმპლანტი - სამედიცინო ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მაგრდება ოპერაციის მეშვეობით

და დაზიანებული შიდა ყურის ნაცვლად ითავსებს სმენის ფუნქციას.

მედიკამენტოზური მკურნალობა - დაავადების სიმპტომების წამლების მეშვეობით მართვა.

მუტიზმი - მეტყველების შეწყვეტა;

მუშა მეხსიერება - ინფორმაციის ხანმოკლე დროით დამახსოვრება, რადგან ის საჭიროა კონკრეტული მოქმედების დროს, მიზნის მისაღწევად;

ნეიროფსიქოლოგი - არის ფსიქოლოგი, რომელსაც შეუძლია თავის ტვინსა და ქცევას შორის ურთიერთკავშირის დადგენა.

ოკუპაციური თერაპევტი - სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია დაეხმაროს პაციენტებს ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო უნარების აღდგენაში.

ორალურ-მოტორული - სახის კუნთების მოძრაობასთან დაკავშირებული.

ოტოლარინგოლოგი - ექიმი, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური განათლება ყურის, ცხვირის, ხახისა და ხორხის დაავადებების შესახებ.

სელექციური მუტიზმი - ცალკეულ სიტუაციებში ან კონკრეტულ ადამიანებთან შფოთვითი აშლილობით გამოწვეულ მეტყველების უუნარობას.

სემანტიკური მეხსიერება - მეხსიერების ეს ფორმა ინახავს ინფორმაციას სიტყვების მნიშვნელობების და ცნებების შესახებ;

სენსორული ინტეგრაცია -სენსორული ინტეგრაცია არის ორგანიზმის უნარი, გადაამუშავოს შეგრძნების ორგანოებიდან (მხედველობა, სმენა, ყნოსვა, გემო და შეხება) მიღებული ინფორმაცია. სენსორული ინტეგრაციის დარღვევა ვლინდება მაშინ, როცა ფერხდება ტვინის მიერ შეგრძნებების გაანალიზების, ორგანიზმისა და გაერთიანების (ინტეგრაციის) უნარი.

ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი - სიტყვაში შემავალი ბგერებისა და მარცვლების დაშლას (ანალიზი) და შემდგომში ბგერების სიტყვებად გაერთიანებას (სინთეზი).

ფსიქოგანათლება - ფსიქიკური ჯანმრთელობისა და დაავადებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესი.

შფოთვითი აშლილობა - ფსიქიატრიული მდგომარეობა, რომელიც მოიცავს უცარი შიშისა და შფოთვის შეტევებს.

ცენტრალური ნერვული სისტემა - ნერვული სისტემის ნაწილი, რომელიც სხეულის სხვადასხვა ნაწილში პასუხების გაგზავნით უზრუნველყოფს სხეულის ყველა სისტემის ერთობლივ მუშაობას. ეს სისტემა აერთიანებს ზურგს ტვინსა და თავის ტვინს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ასმათ ჩხიტუნიძე (2015); GESJ; Education Science and Psychology/No.1 (33);
- მანანა ბერიკაშვილი (2017); სავარჯიშოები მეტყველების ტექნიკის დასახვეწად; გამომცემლობა "კენტავრი"; თბილისი 2017;
- Early support: helping every child succeed (2005); Information for parents speech and language difficulties ; published by Department of education and skills;
- Beithman J.H and Brownlie E (2012); Language development and its impact on children's Psychosocial and Emotional Development; Encyclopedia on early childhood development;
- The communication trust – every child understood; speech, language and communication: information for managers and school staff (online); available:
https://www.thecommunicationtrust.org.uk/media/13565/managers_pack_final_final_8th_may.pdf
- Parent network and resource center (2015); speech and language difficulties (online); available:
<https://matrixparents.org/wp-content/uploads/2015/03/Speech-Language-3.15.pdf>
- Brunner E.; Willinger U etc. (2003); behavior in children with language development disorders; Can J Psychiatry, vol 48,
- National educational psychological service (2015); activities to develop receptive language and comprehension skills (primary years 7+); NEPS, GPG.
- North Shore Pediatric Therapy; 10 activities to develop expressive language (online); available:
https://nspt4kids.com/parenting/10-activities-develop-expressive-language/?fbclid=IwAR1dLbDNapP5aY4Y_PfxVN5CjbsqcvXWZjWmTnmj_QPPk4MwfrIn-qR3N0
- NHS Foundation trust; activities to develop receptive language (online); available:
<https://www.nelft.nhs.uk/download.cfm?doc=docm93jjm4n2450.pdf&ver=3993&fbclid=IwAR11GCcBGmaL2MT95B8zna1ztoGHoKWdPbX122293s0S1adcPiWCt-MZqvtw>

- A. C., R. W., & De, E. C., (n.d.). LANGUAGE DISORDERS: RECOMMENDATIONS FOR IMPROVING TEACHERS. Retrieved from
<https://www.education.udel.edu/wp-content/uploads/2013/01/Language-Disorders.pdf>
- L. M. (2010). Special Education: A Basic Guide for Parents. Retrieved 2018, from
https://www.nasponline.org/Documents/Resources_and_Publications/Handouts/Families_and_Educators/Special_Education_a_Basic_Guide_for_Parents.pdf
- Education.ie. (2018). [online] Available at:
<https://www.education.ie/en/Schools-Colleges/Services/National-Educational-Psychological-Service-NEPS-/NEPS-Guides/Language-Skills/Language-Difficulties>
- Guidance for Teachers and Strategies for In Class-Support-Primary.pdf [Accessed 20 Nov. 2018].
- Feit D. and Feldman H, MD, PhD.(2007) The Parent's Guide to Speech and Language Problems New York, NY, McGraw-Hill.
- Clinical Practice Guideline: Quick Reference Guide. Communication Disorders,
- Assessment and Intervention for Young Children (Age 0-3 Years). 5 1/2" x 8 1/2", 122 pages, 1999. Reprinted 2008, 2009. Publication No. 4219.
- <http://kids.ge/articles>